ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №622333

ნომერი: AR1114231

თარიღი : 06.03.2013

გაცემის თარიღი : 03.04.2013

გაცნობის თარიღი : 03.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N N12 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე რევაზ ტყემალაძის წარმომადგენელმა დავით ლოსაბერიძემ 2013 წლის 06 მარტს #AR1114231 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის შეცვლასთან, ასევე წითელი ხაზების კორექტირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 2012 წლის 06 იანვარს ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში,

თაქთაქიშვილის ქ. #12 და #12ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.11.017.013 და #01.14.11.017.018; ფართობი: 1035.00 კვ.მ. და 161.00 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013105988, მომზადების თარიღი: 19.03.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #892012120402, მომზადების თარიღი: 29.11.12) თანახმად ირკვევა, რომ გაერთიანდა #01.14.11.017.013 და #01.14.11.017.018 საკადასტრო ერთეულები, დაკორექტირდა წითელი ხაზები და წარმოიქმნა ახალი საკადასტრო ერთეული: #01.14.11.017.026, ფართობი 1196.00 კვ.მ., რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1196.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.14.11.017.026;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013105988, მომზადების თარიღი: 19.03.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #892012120402, მომზადების თარიღი: 29.11.12, საკადასტრო კოდი: #01.14.11.017.026);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2012 წლის 06 იანვრის #8 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.